
ჩვენი საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 6 (238) გამოცემის მე-14 წელი

1970 წლის 27 მარტი



დ ა ლ ი ე

დ ა

შ ე გ ე რ გ ე ბ ა...

ჩაის კვირეული საქართველოში

ეკვე რამდენიმე წელიწადია, შეჯანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა ჩვენს რესპუბლიკაში — მთაში თუ ბარად, ქალაქში თუ სოფელში ზეიმს უხდიან ქართულ ჩაის. „მობრძანდით, გვეწვიეთ ქართულ ჩაიზე" — ასეთ წარწერას ახლა საქართველოს რომელ კუთხესაც უნდა ეწვიოთ, ყველგან ნახავთ. წლევანდელი ჩაის კვირეული ამ რამდენიმე დღის წინათ, 23 მარტს დაიწყო. განსაკუთრებული ზეიმია მეჩაიეობის რაიონებში. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გაიხსნა ჭითილმოწყობილი საჩაიე. მობრძანდით და ნახეთ, როგორი სურნელოვანია ჩვენი ჩაი!

დიდი ზეიმია თბილისის ჩაის სახლშიც. ეშვიათია სტუმარი, მას რომ არ ეწვიოს. ეწვევიან და აღფრთოვანებას ვერ მალავენ: „დიდება ქართული ჩაის მომყვანთ!" „ქართული ღვინო და ქართული ჩაი მსოფლიოში საუკეთესოა". „მსგავსი რამ სიცოცხლეში არ დამილევია". „მწვანე ოქროს უწოდებენ ჩაის. არა იგი ოქროზე ძვირფასია, მთელმა მსოფლიომ ქართული ჩაი უნდა სვას". ამგვარი და მსგავსი ჩანაწერები ასობით არის ჩაის სახლის შთაბეჭდილებათა წიგნში.

ამ დღეებში „ჩაის სახლის" სტუმრები განთქმულ ქართულ სტუმართმოყვარეობასა და მასპინძლობასთან ერთად ეცნობიან ჩაის დამზადების ტექნოლოგიას, მის კეთილთვისებებს.

მათთვის, ვინც ჯერ კიდევ არ იწამა ჩაის მაცოცხლებელი ძალა, ან ჩაის სიკეთის უფრო ღრმად შესწავლა აინტერესებს, ეწყობა ლექციები — „ჩაის სიკეთე", „ჩაი და მედიცინა", „ჩაი და კარდიოლოგია". ძალზე საინტერესოა შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, სამამულო ომის მონაწილეებთან ჭიქა ჩაიზე.

„ჩაის კვირეულის" დასკვნითი აკორდი იქნება ზეიმის ბოლო დღე — 29 მარტი. იგი ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცევა. გაიმართება კონცერტები რესტორან „საქართველოში", გაშლილ სუფრაზე დედაქალაქის მშრომელები გემოს გაუსინჯავენ სახელგანთქმულ ქართულ ჩაის. აჟღერდება მუსიკა, შესრულდება სიმღერები, პოეტები წაიკითხავენ ლექსებს, დღესასწაული გაიმართება კაფეებში — „სინათლეში", „გაზაფხულში", „მეტროში", „ცისკარში", „ნარგიზში"...

სიცოცხლის, ჯანმრთელობის ელექსირის საგალობელი მთელ რესპუბლიკას გასწვდება. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ არა მარტო ახლა, მომავალშიც ქართულ სუფრას ყოველთვის და ყველგან სახელგანთქმული ჩაიც ამშვენებდეს.

სურათზე: მიპატიჟება ჩაიზე.

ბონდო დადვაძის ფოტო.



ას თხუთმეტჯერ აყვავდა ტყემალი და წუში, ვარდისფრად გადაიპენტა ატმის ხეები. ას თხუთმეტჯერ გაზაფხულდა ისიდორე შვანგირაძისათვის.

რაც თავი ახსოვს, გაღსა თუ ვენახში, ეზოსა თუ მინდორში ფუსფუსებს მუდამ. მუხლიც ერჩის და მძლავრიც, თვალიც უჭრის და გონებაც. ყოველ გაზაფხულს მზრუნველი ხელით უალერსებს ვაზს, ადამიანივით დაუყვავებს, სატკივარს დაუამებს. ალაც ვენახში გასული ვაზსა სწვალავს და სამამულე რჩას უტოვებს.

შვილებსა და შვილიშვილებს, შვილთა შვილებსა და მათ შვილებს, მეზობლებსა და მეგობრებს მხარში უღგას და თავისი გარჯითა და სიკეთით, სიდარგაისლითა და გამოცდილებით სიხარულსა და გედნიერებას ანიჭებს მათ.

მიხეილ როსტიაშვილის ფოტო

რეპორტაჟი

რესპუბლიკის უდიდესი მშენებლობიდან

ენგურის ახალი სიცოცხლე



სურათებზე: (ზევიდან) იწყება გვირაბმშენებელთა სამუშაო დღე;

კაცი, რომელიც ენგურჰესს აშენებს, გამოდგება ლიტერატურული ნაწარმოების გმირად...

ფოლადის საყრდენებზე საბაბაირო გზა გაიჭიმება.

№ 1 ვარდნილჰესი ყველაზე ადრე ამუშავდება.

გივი კიკვაძისა და არსენ ჩარკვიანის ფოტო

ცადაწვდენილა სვანეთის მთები და ჭიუხები, თოვლი და ბურუსი რომ ახვევიათ თავზე, ვიწრო ხეობაში მორბის ენგური ისე ამაყად და ლაღად, ლილეოს მღეროდეს თითქოს.

მაქსანიის მთების დასასრულს, ჯვართან ივაკებს და დინჯად მიედინება კოლხეთის ველზე.

რამდენიმე წელიწადია სახე უცვლია აქაურობას.

მოვიდნენ ადამიანები, ახლა რომ ენგურჰესელებს უწოდებენ. უფრო ადრე კი...

მათ ააშენეს ზაჰესი და ხრამჰესი, რიონჰესი და ლაჯანურჰესი, ააგეს კაშხალები საქართველოში თუ საზღვარგარეთ. ზოგიერთმა ახლახან არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ასუანის კაშხალის მშენებლობაშიც მიიღო მონაწილეობა.

კაშხალებისა და გვირაბების შენებაში გაჭაღარავდნენ ეს ადამიანები, უკვე რამდენიმე ათეული წელიწადი რომ იცნობენ ერთმანეთს. ენგურჰესზე თავი მოუყრიათ ცნობილ სპეციალისტებს — ნიკოლოზ ესაკიასა და ნოდარ ჭარხალაშვილს, მირიან ებრალიძესა და გიორგი წულეისკირს, ვახტანგ კასრაძესა და კოტე მარშავას, ვახტანგ შედანიასა და ოთარ ჭინჭარაულს... ახალგაზრდა ინჟინრებთან ერთად მიუძღვებიან მშენებელთა მრავალათასიან არმიას და აშენებენ მსოფლიოში ერთერთ უმძლავრესსა და უნიკალურ კაშხალს.

ვდგავართ მომავალი წყალსაცავის ფსკერზე, მშენებლები გვეუბნებიან:

— ჩვენ ვაშენებთ თაღოვან კაშხალს, იგი განსაკუთრებულია თავისი ზომებით, გეოლოგიური და ტოპოგრაფიული პირობებით, კაშხალისათვის ბეტონის მიწოდების ინტენსიურობითა და ორიგინალობით. მისი სიმაღლე 270 მეტრი იქნება, რაც საგრძნობლად აღემატება მსოფლიოს უმაღლეს კაშხალებს — შვეიცარიის მოუვაზენსა და ამერიკის გლენ კენიონს.

კაშხალი შენდება.

ზოგჯერ ისმის გამაყრუებელი აფეთქების ხმა — ეს მშენებლები კაშხალის ტანს ამუშავებენ, მარჯვენა და მარცხენა კლდეებში კვეთენ ქვაბულს. კლდიდან მორღვეული ლოდებით იტვირთება ვეებერთელა თვითმცლელები. მცოცავები თოკებით ეკიდებიან 270 მეტრ სიმაღლეზე და თვალდათვალ სინჯავენ ქვაბულს, რომ სახიფათოდ ჩარჩენილმა ქვებმა ადამიანები არ დააზიანოს.

ეს უბანი ერთ-ერთი მოწინავეა. ასეთი შეფასება კი დაუმკვიდრეს მბურღავებმა ამირან თოდუამ და ბონდო ნიკარიშვილმა, ამფეთქებლებმა ოთარ სილაგაძემ და ვაჟა შალამბერიძემ, კლდეზე მცოცავებმა ფრიდონ ხასაიამ და ინდიკო კვარაცხელიამ...

წელიწადის დამლევს დაიწყება ქვაბულის ბეტონით გამაგრება.

ქვევით, ხეობაში, ექსკავატორებმა საბეტონე მასალის გორები დააყენეს. ფრიალო მთებზე დადგმულ ფოლადის საყრდენებზე გაიჭიმება საბაგირო გზა, რომლითაც მასალას მიაწვდიან ბეტონის ქარხანას. მექანიზმების ეკისრებათ აქ ძირითადი სამუშაო. კაშხალს 4 მილიარდი კუბური მეტრი ბეტონი დასჭირდება და აშენდება წყალსაცავი, რომლის ტალღები აქედან 25 კილომეტრზე დაიდებენ საზღვარს.

მიწისქვეშა გვირაბის სიგრძე 15 კილომეტრია, შიგ თავისუფლად მოძრაობენ 27-ტონიანი თვითმცლელები. ამ ვეებერთელა სადენით გავა წყალი ხელოვნური ზღვიდან ტურბინებამდე.

კიდევ 350 მეტრი და მნგრეველები საქმეს დაამთავრებენ. მიწისქვეშა ასპარეზი კი უკვე მებეტონეებს დარჩენიათ. რკინის ყალიბებში ასხამენ ხსნარს და ამაგრებენ გვირაბის კედლებს. ამ სამუშაოსაც თავისი მეღროშენი ჰყავს: კარლო ქარდავა და ზაურ სანიკიძე, ალქსი ფოფხაძე და აკაკი მალაზონია... ადამიანები, რომლებიც სხვებზე უკეთ და ხარისხიანად აკეთებენ საქმეს.

სოფელ საბერიოსთან, იქ, სადაც მთავრდება გვირაბი, 120 მეტრ სიღრმეში მექანიზმებით ანგრევენ მიწის გულს და ხუთ გენერატორს საბუდარს უმზადებენ. თითოეულის სიმძლავრე 265 ათასი კილოვატი იქნება.

მეორე ელექტროსადგური გალში შენდება. ახლა აქ ნაყარი მიწით აგუბებენ წყალს, ამონტაჟებენ გენერატორებს. ვიდრე ენგური თავისი საშვილიშვილო მისიის შესრულებას შეუდგებოდეს, მის მაგივრობას ამ უბანზე დროებით ერისწყალი გასწევს. ვარდნილჰესი № 1 — ასე უწოდებენ ამ სადგურს. იგი ყველაზე ადრე ამუშავდება.


წყალი შავ ზღვაში ჩაკარგვამდე გზად კიდევ სამ ელექტროსადგურს ჩაუდგამს სიცოცხლეს. 40 ათას კილოვატის ძალას მისცემს თითოეულს.

ასეთია ენგურჰესის მომავალი.

წელიწადის განმავლობაში გამოიმუშავებს 5 მილიარდ 460 მილიონ კილოვატ საათს, რაც ორჯერ აღემატება საქართველოს ყველა ჰიდროელექტროსადგურის წლიურ ელექტროენერგიას.







მაგრამ ენგურჰესის შესახებ ყველაფერი როდი ვთქვით.

არ გვითქვამს თუნდაც ის, რომ მისი მშენებლობა 600 მილიონი მანეთი ჯდება.

რომ იგი აღჭურვილია თანამედროვე მიწისმთხრელი და საბურღი, ამწვენდი და სატრანსპორტო მექანიზმებით.

რომ მშენებლებისათვის აიგო კეთილმოწყობილი დასახლებები ფოცხოეწერსა და ერისწყალში, ოლორსა და საბერიოში, რეჩხსა და გუდავაში, რომლებშიც ახლა 25 ათასამდე კაცი ცხოვრობს.

მშენებლობა კომკავშირულია. არ არის ისეთი უბანი, ცვლა თუ ბრიგადა, ახალგაზრდული შემართება რომ არ იგრძნობოდეს. ორი ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი აშენებს ენგურჰესს.

ელექტროსადგურების ქსელს აშენებენ ხუთი ძმა ნემსიწვერიძე, სამი ძმა ზარნაძე, მრავალი ცოლ-ქმარი, მამა-შვილი თუ სისხლით ნათესავი.

„ენგურის ჩირაღდანი“ — ასე ეწოდება ყოველკვირეულ გაზეთს, რომელსაც ჟურნალისტი ლუდვიგ ბარქაია რედაქტორობს. გაზეთი გრანდიოზული მშენებლობის საუცხოო მემატიანეა, კარგად ასახავს მის მაჯისცემას.

დღეს ენგურჰესის მშენებლობას ქართველი კაცი გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს. ყოველი მამულიშვილი ხარობს მისი სიდიადით.

და ძალიან ბევრის თქმა შეიძლება კიდევ.

ამის შესახებ ფართო თემაა კომპოზიტორებისა და მხატვრებისათვის.

თითოეული, რომელიც ენგურჰესს აშენებს, გამოდგება ლიტერატურული ნაწარმოების გმირად.

მათ უნდა მივუძღვნათ კინოფილმები, ხოლო დიდებით მოსილი მათი სახელები ლეგენდად გადავცეთ შთამომავლობას.

ასეც იქნება.

მე კი ენგურჰესის მშენებლობაზე ერთი დღის ნანახსა და განცდილზე გესაუბრეთ, მეხსიერებას ლილეოს ჰანგებივით რომ შემორჩა.

ჯემალ ჟურხული,

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.

- კაშხალის სიმაღლე 270 მეტრი იქნება, რაც საგრძნობლად აღემატება მსოფლიოს უმაღლეს კაშხალებს;
- წყალსაცავის სიგრძე 25 კილომეტრია.
- მდინარე ენგური ხუთ ელექტროსადგურს ამუშავებს;
- ენგურჰესი წელიწადის განმავლობაში გამოიმუშავებს ორჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე საქართველოს ყველა ჰიდროელექტროსადგური ერთად;
- დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე 10.000 კაცზე მეტი მუშაობს;
- მათთვის ათი კეთილმოწყობილი დასახლება აშენდა, რომლებშიც 25 ათასამდე კაცი ცხოვრობს.
- წყალგამტარი გვირაბის სიგრძე 15 კილომეტრია.

ჩვენი საქართველოა!

შიმონ შათაშვილი (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი): არ შემიძლია დიდი სიყვარულით არ მოვიგონო ჩემი მასწავლებლები, აკადემიკოსები: ნიკოლოზ მუსხელიშვილი და ილია ვეკუა, ვიქტორ კუპრაძე და სხვები, რომლებმაც გამიკაფეს გზა დიდ მეცნიერებაში. ყოველთვის გულრძნობდი მათ მამაშვილურ მზრუნველობასა და მხარდაჭერას. პირდაპირ აღმაშფოთებელია, რომელ ეროვნულ ჩაგვრაზე გაჰყვირიან სიონისტები?

რაფიელ გლიგულაშვილი (საქართველოს სავაჭრო პალატის თავმჯდომარე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი): საბჭოთა კავშირმა ერთადერთმა პირველმა ცნო ისრაელის სახელმწიფო. ომი ებრაელ ხალხს კი არ სჭირდება, არამედ ისრაელის მმართველებს და მათ ოკუპანისგაღმელ მფარველებს, რომლებიც ათასობით გაუბედურებული არაბის ტანჯვით, ცრემლითა და მწუხარებით მილიონებს იჯიბავენ.

ხომ არ აჯობებს, სიონისტებმა ისრაელში მცხოვრებ ებრაელთა ბედზე იზრუნონ? ომებით აშენებული ერები ისტორიას არ ახსოვს. ქართველმა ებრაელებმა ვიცით მშვიდობის ფასი და თუნდაც ამიტომ ვერ დავთმობთ ჩვენს სამშობლოს, დღენიადაგ მშვიდობისათვის რომ იღვწის.

ბიგლა ხუსაშვილი (მწერალი): ნაწარმოებების სახეებს საქართველოს მრავალეროვანი ცხოვრების საფუძველზე ვქმნი. ვერ წარმომიდგენია ჩემი შემოქმედებითი მოღვაწეობა ჩემი სამშობლოს — საქართველოს გარეშე.

სიმონ ბათიაშვილი (ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი): ჩვენში ადამიანებს აფასებენ შრომითა და ცოდნით. აქ არ არის ეროვნული ჩაგვრა, რასობრივი დისკრიმინაცია.

პრეს-კონფერენციაზე ქართველმა ებრაელებმა საკადრისი პასუხი გასცეს სიონისტებს, თქვეს, რომ საქართველო მათი სამშობლოა, ქართული მიწა დედა მათი, სადაც უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ, სარგებლობენ საერთო უფლებითა და სიკეთით, გზა ხსნილი აქვთ შემოქმედებითი და ნაყოფიერი შრომისათვის. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა შორის 68 ქართველი ებრაელია, ჰყავთ მეცნიერებათა 9 დოქტორი და 80 კანდიდატი.

— ჩვენ ღრმად გვწამს, რომ აურაცხელი ბრიკები და ზრახვები თანამედროვე პირობებში განწირულია დასაღუპავად, რომ მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის საქმე გაიმარჯვებს, — ნათქვამია ქართველ ებრაელთა განცხადებაში, რომელიც პრეს-კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს.

ხელოვნება ხალხს ეკუთვნის

11 მარტს თბილისსა და საქართველოს სხვა დიდ ქალაქებში დაიწყო და 23 მარტამდე გასტანს საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნების დღესასწაულმა, რომელიც აზერბაიჯანისა და სომხეთის გავლით გვეწვია და დიდი სიხარული მოგვგვრიტანა.

საქართველო მახპინძლობდა ისეთ ცნობილ მხატვრულ კოლექტივს, როგორიც არის მსოფლიოში სახელგანთქმული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის იგორ მოისეევის ხელმძღვანელობით.

„მოისეველთა“ ნატიფ ხელოვნებას, დახვეწილ ოსტატობას თბილისელი მაყურებელი ადრეც იცნობდა და მოუთმენლად ელოდა ანსამბლთან ხელმეორედ შეხვედრას. მართლაც, ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მსოფლიოს ხალხების ისტორიასა და ეთნოგრაფიის თავისებურებებში ღრმად ჩაწვდომის უნარმა, ხალხური კოლორიტისა და სულიერი სამყაროს შესანიშნავმა გამოვლინებამ ანსამბლის მთელი პროგრამა წარმტაც მოთხრობად აქცია.

დღესასწაულის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოვლენა იყო ვირტუოზი პიანისტის, საბჭოთა საფორტეპიანო სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლისა და სიამაყის ემილ გილელსის კონცერტები.

ბევრი მაყურებელი ჰყავდა „მუსიკალურ ოჯახს“ — ლეონიდ კოგანს, ელისაბედ გილელსს, ნინა და პავლე კოგანებს. მათ მიერ შესრულებული თითოეული ნომერი გამოირჩეოდა დიდი კლასიკური მკაფიობით, ფორმისა და სტილის გრძნობით.

ბგერის სისუფთავე, მუსიკალური სრულყოფა, გონივრულად მოფიქრებული პროგრამა — ეი რით გამოირჩევა ესტონეთის სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ანსამბლი „ლაინე“.

დიდი მოწონება დაიმსახურა ბელორუსიის ხალხურ საკრავთა ორკესტრმა, რომლის ფუძემდებელი და ხელმძღვანელია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი იოსებ ჟინოვიჩი. თბილისელები მობიბლული დარჩნენ ესტონეთის, მოლდავეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, ყირგიზეთის ესტრადის ოსტატთა ხელოვნებით. განსაკუთრებული აღტაცებით მიიღეს ხელოვნების მოყვარულებმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ყაზახეთის სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ბიბიგულ ტულეგენოვა.

ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმულ ორკესტრებს შორის საპატიო ადგილი უჭირავს საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდ სიმფონიურ ორკესტრს, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია დირიჟორი გენადი როჟდესტვენსკი. ორკესტრის კონცერტები დღესასწაულის ბოლო აკორდი იყო.

ხელოვნების ამ სახელგანთქმულ კოლექტივებთან და შეშრულებლებთან შეხვედრამ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

18 მარტს ბაქოში დაიწყო ამერკავკასიის ხალხთა პოეზიის საღამოები, რომელმაც 25 მარტს ერევანში გადაინაცვლა. იგი თბილისსაც ეწვევა — 30 მარტს რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში გაიმართება პოეზიის საღამო.

ხელოვნების ამ დიდი ზეიმის განსაკუთრებული ელფერი და მნიშვნელობა იმან განაპირობა, რომ იგი მოეწყო ლენინური დევიზით — „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის“. ამ სიტყვებში ლაკონიურად, მაგრამ მთელი სიღრმით არის გადმოცემული საბჭოთა ხელოვნების არსი, მისი კეთილშობილი დანიშნულება.

ლექსები ლენინზე

ამას წინათ გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურამ“ მკითხველს მიაწოდა ას ორმოცდაათზე მეტი ცნობილი საბჭოთა პოეტის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული სათაურით „ლექსები ლენინზე“. კრებულში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი ქართულ პოეზიასაც. მკითხველი გაეცნობა გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, პაოლო იაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, ხუტა ბერულავას, შალვა ამისულაშვილის საუკეთესო ლექსებს.

გალაკტიონ ტაბიძე

* * *

მისდევს რგოლს რგოლი. ასმ. ტოლ-ტოლი
ცვივა ფოთოლი ჩვენი თაობის,
სხვადასხვაგვარი, გზაა მდაგვარი
ამ მრავალგვარი სანანახობის.
ჩვენი თაობის გამგებლობას
სხვა მოძრაობის ედგა მოტორი,
ეჰა! რა და რა, ქარში გვატარა
დიდი, პატარა, ტოლი და სწორი!
ნათელი სევდით ლქმსევს ვუსმენდით,
სად მონუმენტი იდგა მთაწმინდის,
მიმყავდა გემი და ნუგეშფენი
ხმა ქუხდა ჩემი ეფემერიდის.
გვონია იქნებ, გზას გაეიგნებდით,
გზას გაეიგნებდა ყვედიადში თვალი, —
ბრძენი ლენინი კლდედ რომ არ ჩანდეს,
შუშრყვეველი, მაგარი, სალი!

ზეიმი ნეაპოლში

ამას წინათ ნეაპოლის ერთ-ერთ თეატრში გაიმართა ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი, რომელიც „იტალია—სსრ კავშირის“ საზოგადოებამ მოაწყო.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრი ჯან კარლო პაიეტა.

მიტინგის დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ იტალიაში მყოფი მოსკოველი და თბილისელი მსახიობები.

წიგნის თარო

წიგნი — საჩუქარი

„ძვირფასო მეგობარო! ძველად საქართველოში ერთი კარგი ტრადიცია ჰქონდათ: ქალს მზითვად „ვეფხისტყაოსანს“ატანდნენ. მართალია, ახლა წიგნის გამოცემა იშვიათი მოვლენა აღარ არის, მაგრამ წიგნი მაინც ლამაზი და ძვირფასი საჩუქარია. სწორედ ამ მიზნით „საბჭოთა საქართველო“ იწყებს სამახსოვრო ბიბლიოთეკის გამოცემას. ამ გამოცემაში წარმოდგენილი იქნებიან თქვენი საყვარელი მწერლები — ქართველი, რუსი და უცხოელი კლასიკოსები: რუსთაველი, სულხან-საბა, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, პუშკინი, ლერმონტოვი, შექსპირი, გოეთე, ბაირონი, პეტეფი, მიცკევიჩი და სხვა მრავალი. უსახსოვრეთ ეს კრებულები თქვენს მახლობლებს, მეგობრებს, ნათესავებს, მშვიდად გაატანეთ ქალიშვილებს. გაუზიარეთ მათ ამ წიგნების სიბრძნე და სილამაზე. გახსოვდეთ — წიგნი ყველაზე ძვირფასი საჩუქარია!“

ასეთი მიმართვა ერთვის მცირე ფორმატის, ლამაზად გაფორმებულ ორ კრებულს. პირველი მათგანია სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, ხოლო მეორე — ვაჟა ფშაველას რჩეული ნაწარმოებები (ორ წიგნად). ამ წიგნებით „საბჭოთა საქართველომ“ დაიწყო სამახსოვრო ბიბლიოთეკის გამოცემა. კრებულები დაბეჭდილია საუკეთესო ხარისხის ქაღალდზე და გაფორმებულია მდიდრულად. სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა“ გრაფიკულად გააფორმა ნიკოლოზ ირემაძემ, ვაჟას რჩეული — ლადო გრიგოლიამ. სამახსოვრო ბიბლიოთეკა გამოდის ვახტანგ ჭელიძის საერთო რედაქციით.

ამავე სერიიდან მკითხველები წელსვე მიიღებენ ალექსანდრე პუშკინის მოთხრობებსა და გალაკტიონ ტაბიძის რჩეულ ლირიკას ორ წიგნად.

● „ეკატერინე ბაბაჯანიძე“ — ასეთი სათაურით გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოაქვეყნა სერგი ჭილაიას ქრონიკა სამეგრელოს უკანასკნელ დედოფალზე ორ წიგნად. მასში გადმოცემულია არა მარტო ეკატერინე ჭავჭავაძის პირადი ცხოვრების, არამედ მე-19 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ - პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დრამატიზმით აღსავსე ქრონიკაც. უბრალო არის მოყვანილი დოკუმენტები, პირადი წერილები, მოგონებები და მრავალი ისტორიული მასალა. ყოველივე ეს ავტორის მიერ ისეთი სიფაქიზითა და ღრმა პოეტური მღელვარებით არის დანახული, რომ მკითხველს დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

წიგნის რედაქტორია კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ბოლოხატყვა ეკუთვნის დემნა შენგელაიას.

● წიგნის მოყვარულთა თაროს კიდევ ერთი საინტერესო გამოცემა დაამშვენებს. გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოაქვეყნა ვახტანგ ბერიძისა და თანაავტორების ნაშრომი — „მეტეხი“. წიგნი მეცნიერულ-პოპულარული ენით მოგვითხრობს ძეგლის ისტორიას, მის მხატვრულ ღირსებას, ავტორები სამართლიანად ასკვნიან, მეტეხი ეროვნული ხუროთმოძღვრების სიამაყეაო.

წიგნი პოლიგრაფიულად კარგად არის გამოცემული, ვეცნობით უნიკალურ ფოტორეპროდუქციებს მეტეხსა და მის ანსამბლზე, ძველი თბილისის ხედებს.

წიგნს დართული აქვს რეზიუმე რუსულ და ფრანგულ ენებზე.

შეგახსენებთ: საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს საქართველოში გამოცემული ახალი წიგნების მიღება შეუძლიათ უსასყიდლოდ. ამისთვის საჭიროა გამოგზავნონ თავიანთი მოთხოვნა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების სახელზე.

მისი მეოცნებე გუნება



1939 წელი. მოსკოვი. ესტრადის მსახიობთა სრულიად საკავშირო კონკურსი. საქართველოს წარგზავნილები ბრწყინვალე გამარჯვებას აღწევენ. ლაურეატების წოდება ენიჭებათ ვასო გოძიაშვილს, ოლღა დოლიძეს, ილიკო სუხიშვილსა და ნონა გუნიას...

ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ერისაგან დიდად დაფასებული ადამიანის ვალერიან გუნიას ოჯახში განსაკუთრებული სინაზითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ ნაბოლარა გოგონას. ბავშვის ფაქიზმა მეოცნებე ბუნებამ თავიდანვე იჩინა თავი. ნონას დისწული მარინე საყვარელიძე იგონებს: ნონა და მე ერთად ვიზრდებოდით. ნონას მეოცნებე ბუნება ჰქონდა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ უამბია ჩემთვის მზე-ჭაბუკის, მზეთუნახავი ქალწულისა თუ ბროლის კოშკების ამბავი. ერთხელ მეძახის და მეუბნება: „მარინე, მოდი აქ, დაჯექი, თვალი დახუჭე და იოცნებე“. უხმოდ დავემორჩილე, „რას ხედავ, მარინე?“ მეკითხება ნონა. „არაფერს“. „იოცნებე, იოცნებე“, მაცივდება ნონა. მეც მინდა, რომ ვიოცნებო, მაგრად ვხუჭავ თვალს. არაფერი გამოდის, ოცნება ახლოსაც არ მეკარება. ფუჭად ჯდომას თამაშს ვარჩევ, ვდგები და გავრბივარ.

და აი, როდესაც 1937 წელს უნივერსიტეტის სცენაზე ნონამ პირველად იცეკვა „ქართული“, დავინახე ის მზეთუნახავი ქალწული, რომელზეც ნონა ბავშვობაში მიამბობდა, ხოლო მისი პარტნიორი — ბუხუტი დარახველიძე ნამდვილი მზე-ჭაბუკი იყო. ახლა, ბავშვობის ტკბილ დღეებს რომ ვიგონებ, ვფიქრობ: ნონას მეოცნებე ბუნება — ეს მისი ხელოვანი სული იყო, რომელმაც ააცეკვა და მთელი საქართველო ცეკვით შემოატარა.

ცნობილმა ქორეოგრაფმა ჯანო ბაგრატიონმა, რომელიც უნივერსიტეტში ხალხური ცეკვების შემსწავლელ თვითმოქმედ წრეს ხელმძღვანელობდა, ნონაში თავიდანვე შენიშნა რიტმის მკვეთრი გრძნობა, შინაგანი ტემპერამენტი, სხეულის მოძრაობათა სიმსუბუქე და ელასტიკურობა. მასწავლებელი და მოწაფე 1936 წლიდან დიდი ბონდომებით შეუდგნენ მეცადინეობას.

პირველი ცეკვა ოსური იყო. ნახვარ ცერებზე შემდგარი, კოხტად აკრეფილი ტანით, ფრთაგაშლილი ფრინველივით დასრიალებდა იგი სცენაზე.

აკადემიკოსი აკაკი შანიძე დღესაც აღტაცებულია ნონას ცეკვით: „ნონა ჩემი სტუდენტი იყო, კარგად სწავლობდა, შემდგომში ცნობილი მოცეკვავე გახდა, მე მეგრჯერ მინახავს მისი შესრულებით სხვადასხვაგვარი ცეკვა, იგი სამართლიანად იმსახურებდა მქუხარე და ხანგრძლივ ტაშს“.

ასეთივე სიყვარულით გვიამბობს აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი: „ნონა გუნია ცეკვა „ქართულის“ უბადლო შემსრულებელი იყო, მაგრამ მისი შესრულებით განსაკუთრებით მომწონდა ცეკვა „განდაგან“. ნონას სახის გამომეტყველება, რომელიც ესიტყვებოდა ცეკვის შინაარსს, მშვენიერი იყო, მისი სცენური გარეგნობა ფრიად უწყობდა ხელს მის დიდ წარმატებას, რაც მუდამ მახარებდა, მით უფრო, რომ ნონა ჩემი სტუდენტი გახლდათ და კარგი სტუდენტიც“.

წლები, რომლებიც ნონა გუნიამ სცენაზე გაატარა, მრავალ კარგ მოგონებას აცოცხლებს. მაგრამ უპირველესი მოსაგონართა შორის მაინც მოსკოვში ესტრადის მსახიობთა სრულიად საკავშირო კონკურსში გამარჯვება გახლდათ, რომელიც ამ წერილის დასაწყისში ვახსენეთ. აი როგორ იგონებს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვასო გოძიაშვილი ქართველი მოცეკვავე ქალის ამ წარმატებას — „როდესაც სცენაზე გამოსცრიალდა თეთრ კაბაში გამოწყობილი ნონა გუნია, რომელსაც გვერდს უმშვენებდა შავ ჩოხა-ახალუხიანი ბუხუტი დარახველიძე, დარბაზში ტაშმა იქუხა. თამარ მეფეა, ნამდვილი თამარ მეფეა, თქვა ვიღაცამ. ალბათ, ასეთი იყო თამარ მეფეო“.

ნონამ ცეკვით შემოიარა ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქი და ყველგან ერთნაირი ხალისითა და სიყვარულით მიიტანა ქართული ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები. ახლაც, ქუჩაში მიმავალს მოკრძალებით აყოლებენ თვალს, ხშირად იხსენებენ მის უბადლო ცეკვას.

ნელი ჩაჩავა

გვექნება ქართული ენციკლოპედია

გვესაუბრება ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, პოეტი-აკადემიკოსი

ირაკლი აბაშიძე

ქართველ ხალხს ენციკლოპედიურ-ლექსიკოლოგიური მუშაობის საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო ტრადიცია აქვს.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ქართული მწერლობის კლასიკურ ხანაში საქართველოში იწერებოდა ან ბერძნულიდან ითარგმნებოდა ფილოსოფიურ-თეოლოგიური თუ საისტორიო-აგიოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებსაც ერთობლივ ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებანი. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ კონსტანტინე (ევნატე) დიაკონის (IX საუკუნე) მიერ ბერძნულიდან თარგმნილი თხზულება „სიტყვა ექსორიობით ალმოყვანებისათვის სხეულის წმიდისა ნიკიფორესსა“, რომელსაც ერთვის ისტორიული და მითოლოგიური სახელების კომენტარები.

ენციკლოპედიური ხასიათის კომენტარები მრავლად გვხვდება XI-XII საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ლიტერატურაში (ეფრემ მცირე, იოანე პეტრწყი, არსენ იყალთოელი). საფიქრებელია, რომ ძველად არსებობდა ქართული ენის ლექსიკონიც, რომელშიც განმარტებული იყო არა მარტო ქართული ლექსიკური მასალა, არამედ იმ დროის მეცნიერული ტერმინები, ეთნიკური, გეოგრაფიული და სკუთარი სახელებიც. სულხან-საბა წერს: „ქარფულ ენათა ლექსიკონი ადარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებათა უჩინო ქმნილიყო...“ (ქართველებს) ეს წიგნი დაჰკარგოდათ“. თვით სულხან-საბა ორბელიანმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ენციკლოპედიური ცოდნის გავითარებაში. მისი „ქართული ლექსიკონით“, რომელშიც შეტანილია არა მარტო წმინდა ენობრივი მასალა, არამედ მეცნიერული ცნებებიც, დღესაც სარგებლობენ მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. სულხან-საბას ლექსიკონი ჭეშმარიტად ენციკლოპედიურ მასალას შეიცავს.

XIX საუკუნის დამდეგს შეიქმნა დიდი ენციკლოპედიური ნაშრომი — იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“. ეს არის შესანიშნავი ლიტერატურული ძეგლი, რომელშიც წარმოდგენილია მაშინდელი ცოდნის ყველა დარგი.

1898-1899 წლებში ივანე როსტომაშვილის რედაქციით გამოვიდა ენციკლოპედიის ოთხი წიგნი სათაურით: „სალარო ცოდნისა, რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი“.

უკანასკნელი ხანების ენციკლოპედიურ ნაშრომთაგან უნდა მოვიხსენიოთ იუსტინე აბულაძის „რუსულ-ქართული ლექსიკონი სალიტერატურო, საპოლიტიკო, სატექნიკო და უცხო სიტყვათა და ტერმინთა ჩამოლით“.

ამბობენ, ენციკლოპედია სახელმწიფოს, ხალხის სიმწიფის ატესტატიაო, თუ ეს ასეა, ვფიქრობთ, კიდეც ღაცვაგვიანდა ენციკლოპედიის გამოცემა.

ჩვენს თაობას წილად ხვდა განახორციელოს საპატიო მისია — შექმნას პირველი უნივერსალური ქართული ენციკლოპედია, რომელიც თანამედროვეობის მოთხოვნილების დონეზე იდგება. ახლა ამ ურთულესი საქმის განხორციელების ყველა პირობა არსებობს.


ქართული საბჭოთა ენციკლოპედია იქნება სოციალურ-ეკონომიური, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური ცოდნის სისტემატიზებული კრებული, უნივერსალური სამეცნიერო ცნობარი, რომელიც გააშუქებს ადამიანის ცოდნისა და პრაქტიკული მოღვაწეობის ყველა სფეროს, ქართველი ხალხის დამოკიდებულებას ზოგადსაკაცობრიო კულტურისადმი. ენციკლოპედიაში ფართოდ აისახება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის დარგში, ქართველი ხალხის ისტორიული წარსული და აწმყო.

ენციკლოპედიის შექმნასა და გამოცემაზე მომუშავე კოლექტივი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ იგი არ იყოს მშრალი და მოსაწყენი ცნობარი, რომელსაც ადამიანი მხოლოდ საჭიროებისას მიმართავს. ქართული ენციკლოპედია იქნება საინტერესო საკითხავი წიგნი.

აღსანიშნავია, რომ ენციკლოპედიაში შემავალი ყველა სტატია — მათი რიცხვი კი 80 ათასს გადააჭარბებს, — აიწყობა ახალი შრიფტით, რომლის ავტორია მხატვარი ანტონ დუმბაძე.

ქართულ ენციკლოპედიას გამოსცემს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული მთავარი სარედაქციო კოლეგია და სპეციალური სამეცნიერო რედაქცია. მთავარ სარედაქციო კოლეგიაში შედიან რესპუბლიკის ცნობილი მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი. კოლეგიის 53 წევრისაგან 43 საკავშირო და საქართველოს სამეცნიერო აკადემიების წევრი და წევრ-კორესპონდენტია. ენციკლოპედიის პირველ ტომს მკითხველი 1971 წელს მიიღებს. მთლიანად მისი გამოცემა 1978 წელს დამთავრდება.

ენციკლოპედიის შექმნა და გამოცემა დიდი ეროვნული საქმეა. ამიტომ მიიტანა იგი ასე ახლოს გულთან ქართველმა საზოგადოებრიობამ.



სურათზე: მარაბდის ბრძოლა.

სვევრიან მაისაშვილის ნახატი

„შეუდარებელი ქართველები“

1966 წელს ფსიქოლოგთა მე-18 საერთაშორისო კონგრესზე ერთ-ერთმა სიმპოზიუმმა საგანგებოდ განიხილა ქართველ ფსიქოლოგთა მიერ დამუშავებული სპეციალური პრობლემა — განწყობის ფსიქოლოგია. ამავე წელს ნიუ-იორკში ინგლისურად გამოიცა განწყობის ფსიქოლოგიის ფუძემდებლის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის დიმიტრი უზნაძის წიგნი „განწყობის თეორია“.

ახლახან ამერიკის შეერთებულ შტატებში პერიოდულმა საინფორმაციო და საგანმანათლებლო ჟურნალმა „სოვიეტ პსიკოლოჯიმ“ თავისი მეშვიდე ტომის მეორე ნომერი სპეციალურად ქართულ ფსიქოლოგიას მიუძღვნა. ნომრის რედაქტორია პროფესორი იოზეფ ბროჟეკი. ჟურნალს წამძღვარებული აქვს მისივე წინასიტყვაობა სათაურით „შეუდარებელი ქართველები“. ნომერი იხსნება კანადელი პროფესორის, ალბერტას უნივერსიტეტში მოღვაწე ჯონ ჰრიდსუკის ორი წერილით. აღსანიშნავია, რომ ამ უნივერსიტეტის მეცნიერთა ერთი ჯგუფი მუშაობს ქართველ ფსიქოლოგთა განწყობის თეორიის საფუძველზე. უნივერსიტეტმა ამ ბოლო ხანს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს პროფესორ ალექსანდრე ფრანგიშვილს ცნობისათვის გამოუგზავნა ოთხი სადოქტორო შრომა, რომლებსაც საფუძვლად ქართული განწყობის თეორია უდევს.

იმავე ნომერში დაბეჭდილია სამი ქართველი ფსიქოლოგის — ალექსანდრე ფრანგიშვილის, რეგაზ ნათაძისა და იოსებ ბჟალავას შრომები.

...კურთხეულ იყოს მარაბდა

ძველისძველად გარისი ეწოდებოდა, ახლა საქართველოს რუკაზე თეთრი წყაროს რაიონად არის აღნიშნული. ჩვენი სამშობლოს მრავალი კუთხის მსგავსად, მასაც ბევრი უნახავს და გადაუტანია, იქნებ სხვებზეც მძიმე იყო მისი ხვედრი, მაგრამ საყვედური არასოდეს წამოსცდენია. ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი იყო ჩვენი მიწისა და აბა, მშობელს გაღებულ სისხლს როგორ დაამადლიდა. მომხდურისათვის ზურგი არასოდეს უჩვენებია. ერთ შვილს მოუკლავდნენ და სანაცვლოდ ორსა ზრდიდა. ერთ ციხეს დაულეწდნენ და ორს აშენებდა. ვაზს აუჩეხდნენ და ერთის ძირში ორს რგავდა. მტრის რისხვა პირველად თავზე მას ატყდებოდა, მაგრამ მისი რისხვაც ბევრს მისწვდა. ბევრჯერ შეელება ალგეთი მტრის სისხლმა...

მოყვრის მიღებაც არ იცოდა ურიგოდ, მაგრამ ლხინისათვის იშვიათად თუ მოიცლიდა. რა მისი ბრალი იყო, საქართველოს ბედმა თუ უბედობამ არგუნა ასე...

ახლა მწვანეში ჩაფლული სახლებით დამშვენებულა: თეთრი წყარო და მანგლისი, კოდა და მარაბდა, სამღვრეთი და კლდეისი, შეხვტილა და ბორბალო, ჩხიკვთა და მაწევანი, ჯორჯიაშვილი და ასურეთი, იფნარა და ორბეთი, თონეთი და პანტიანი...

მშვიდობიან შრომას მისცემია დიდი თუ პატარა. გარდასულ დღეთა მოსაგონებლად კი ციხე-კოშკები შემორჩენიათ, მარადისობა რომ დასდგომიათ დარაჯად. ციხე-კოშკი კი იმდენია, რომ ყველა იქნებ ვერც ახსენო, ვერ შეეხმიანო...

ქართლის ცხოვრების საწყისი სამშვილდეს ციხე-ქალაქი, ფარცხისისა და ბირთვისის ციხეები, ორბელიანთა ნაშენები სულუტის ციხე, ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი ფიტარეთის ტაძარი, მე-12 საუკუნეში ნაგები გუდარეხის მონასტერი, მანგლისის ტაძარი, ჩვენს წინაპრებს 16 საუკუნის წინათ რომ აუშენებიათ, ჰივჰავისა და ირაგის წყალს შორის აღმართული დიდი თამარის ნადარბაზევი, ლიპარიტ ბაღვაშის რეზიდენცია— კლდეკარის საერისთაო, საუკუნეების მანძილზე რომ ატარებდა დამოუკიდებელ პოლიტიკას და ბოლოს დავით აღმაშენებლის რკინის ნება-სურვილს რომ დაემორჩილა. ქართველთა ლაშქრის ყველაზე დიდი გამარჯვების მოწმე — დიდგორის ველი და ჩვენ წინაპართა ვაჟკაცობის სიწმიდისი, ლეგენდად ქცეული მარაბდა...

1625 წელი იდგაო, გვამცნობს მემატიანე, ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით საქართველოს ირანელთა ურიცხვი ლაშქარი შემოესია. გიორგი სააკაძემ მარაბდის ველზე შეაგება მტერს ჯარი. 9 ათასი ქართველი შეეწირა უთანასწორო ბრძოლას, მტერი კი 14 ათასი გაწყდა. მარაბდის ველზე გმირული სიკვდილით სხვებთან ერთად ცხრა ძმა ხერხეულიძეც დაეცა.

ცხრა ძმა... ქართველმა ჭალმა ცხრა შვილი შესწირა სამშობლოს თავისუფლებას... ახეთ ამბავს ისტორიის ფურცლებზე ხშირად როდი ამოიკითხავთ.

ლეგენდა გადმოგვცემს, ისიც აქ იბრძოდაო, შვილების გვერდში. უნდა ვირწმუნოთ. სხვანაირად არც იქნებოდა.

სოფელ მარაბდის ეკლესიის ეზოში, სადაც ბარათაშვილების საგვარეულო სასაფლაოა, ცხრა უზარმაზარი ლოდი დევს, თითოეულზე ქვისმთლელს ფარხმლით შემოსილი ვაჟკაცი ამოუკვეთავს. ამ ლოდების ქვეშ წვანან ხერხეულიძეებიო, გეტყვიან მარაბდაში სტუმრად ჩასულს.

სამშობლოს წინაშე ვალმოხდილნი, სამუდამოდ განისვენებენ აქო.

და შენც უნებურად ქუდს იხდი მათი ხსოვნის წინაშე.

გმირთა სახელი დაუვიწყარიაო, გადაწყვიტეს თეთრწყაროელებმა და ცხრა ძმა ხერხეულიძეების უკვდავსაყოფად ძეგლის აგებას შეუდგნენ.

ცაში 32 მეტრ სიმაღლეზე აჭრილ სამ სვეტს ცხრა შედუღაბებული ხმლის გამოსახულება ექნება, ირგვლივ ცხრა მუხა დაირგვება, ხოლო 9 ჰექტარზე გადაჭიმულ ბაღში 9 ათასი ხე იშრიალებს. ძეგლის მშენებლობაზე 300 ათასი მანეთი დაიხარჯება, თეთრწყაროელთა მიერ ალალი გულით გაღებული.


წინაპართა სისხლით მორწყულ მიწას ახლა მარაბდის წყალსაცავი უდგამს სიცოცხლეს. ბაღნარად იქცა მისი მიდამოები. არსენა მარაბდელის სოფელი, რომ იტყვიან, ავთვალს არ ენახვება. გაშენდა ვენახი, სულ მალე მარაბდული ღვინით შეისმება სამშობლოსა თუ მშობლების, წინაპართა თუ მეგობრების სადღეგრძელო. დიახ, მალე აქ ღვინის ქარხანა აშენდება, იქვე ახლო კი დასასრულს უახლოვდება უზარმაზარი მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა. მტერი აქ ველარასოდეს მოვა და ის, რაც ახლა კეთდება, ადამიანთა კეთილდღეობის სამსახურში ჩადგება სამუდამოდ.

აღსრულდა ნანატრი. გახსოვთ პოეტის სიტყვები:

„ერთი მათგანი დაჭრილი,
უბეში დროშას მალავდა,
იწვა სისხლისგან დაცლილი...
კურთხეულ იყოს მარაბდა!“


კურთხეულია, კურთხეული! კურთხეული ხართ თქვენც, ჩვენო სახელოვანო წინაპრებო!

რეზო მაჭავარიანი,
სოფელი მარაბდა.



ქართული ენციკლოპედიის შენობის პირველ სართულს ამშვენებს მხატვარ კოკი იგნატოვის ედვარდ გიგილაშვილის ფოტო


ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲑᲝᲛᲘ





ლიმილის ბიჭები

სევერიან ისიანი



თუ მტერმა დამცეს ხმალგაბასრულმა,
დარდს ნუ მოიხვევთ ღრუბლის გუნდებად.
რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა,
მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება.

საოცარ წინათგრძნობად ექცა პოეტ სევერიან ისიანს ეს სიტყვები. თავისი ცხოვრების ოცდამეათე წელს იგი ბრძოლის ველზე შეხვდა როგორც მამაცი მებრძოლი და ლირიკოსი პოეტი, როგორც მგზნებარე პატრიოტი. მშვიდობიანობისას თუ ომის ქარცეცხლში დაწერილ მის ლექსებს პოეტური გულწრფელობა, სისადავე, მგზნებარე ტემპერამენტი, შინაგანი სითბო და მხატვრული სახის ბუნებრიობა ახასიათებს.

უბრალოდ, გულღიად და სადად გამობატავდა პოეტი მშობელი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულს. მისი ლექსები თუ ფრონტიდან გამოგზავნილი ბარათები პატრიოტული განცდებით იყო აღსავსე. სამშობლო, მისი გამარჯვება, მისი აწმყო და მომავალი — აი სევერიან ისიანის პოეზიის ძირითადი თემა. მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო სამშობლო უსაზღვრო ლაჟვარდებით, ახავერდებული გაზაფხულით, მზის ქვეშ გაღიმებული ვარდებით. ყველაფერი ეს გულს სიხარულით უვსებდა:

სად იცის მიწამ ასე სუნთქვა, ცამ —
ლაჟვარდები
და გაზაფხულმა — ახავერდება?
რომელი მზის ქვეშ იცინიან ასე
ვარდები?!
ლაღობს გული და აღარ ბერდება.

ყველაფერი, რასაც პოეტი წერდა, მისი სულის სიღრმიდან მომდინარეობდა. მტერმა არ დააცალა, ბოლომდე გადმოეშალა ლექსებად სულის მთელი შინაგანი სილამაზე და სიყვარული

ზეცის ამგვარი გამოდარება!
ადრე ჩამქრალა მათი მწათობი, —
ვეღარ უხილავთ ეს მთა-გორები,
მიწა-მათივე მკერდით ნათბობი
და სიკვდილის წინ ნაამბორები.
მაგრამ სანგრებში ღამენათევი
არ დაკარგულან სისხლის ტბორები.
შენ შეგემატა მათი ნათელი
და სიჭაბუკე უმეორები.
მათზე შაირებს მთებიც არხევენ,
ქარი ამღერებს ჰაღარა ჰადრებს.
არ ივიწყებენ გმირთა სახელებს,
რომ დაცემულან რიჟრაჟზე ადრე.
ვერ გაიხარონ ღამის ბინდებმა,
ბნელი ხევებიც მზით აელვარდნენ,
ქვეყნად გაისმის შენი დიდება
და მათ საფლავებს აყრიან ვარდებს!

სამშობლო

ჩემი ოცნების კრიალა ცაზე
მუდამ შენი მზის არის დიდება.
მისი სხივები და სილამაზე
არ ინისლება, არ იბინდება.
იდიდოს იგი, მარად ბრწყინვალე,
ცასა და მიწას არ მოსწყინდება,
ქვეყნად დაადნობს ყველა მყინვარებს, —
მსოფლიო ცაზე ამობრწყინდება!
მრავალფერიანს, მრავალმთებიანს,
აგყვავებია ტყე და ხნულები,
სახე ღიმილით გაგნათებია,
ვარდი გფენია მკერდზე ულევი.
დანაცრებულა ცა ხშირბინდება,
ბაღად ქცეულან უდაბურები,
ყველგან გმირობის ისმის დიდება,
ქვებიც მღერიან გულჩადგმულები...
მღერიან შენი მთები, ველები,
შენი ვოლგა და შენი ენგური,
ეს სიხარული, ეს სიმღერები
ჩვენს გულებშია ჩამონერგული.
მღერიან შენი გარიჟრაჟები,
დაუღრუბლავი ვარსკვლავთ კრებული,
მტრის ამკაფავი შენი ვაჟები
ცა და ხმელეთზე გამაგრებული.
ვინ აამღერა ამდენი გული,
ვინ შთააგონა გმირი ამდენი,
შენს დიდ საზღვრებზე შემორკინული,
სასწაულების შენთვის ჩამდენი?
ცას ვინ მოსტაცა მზე დიდებული,
ქვეყნად ხალხისთვის გადმონადენი,
მოხუცი, წლებთან შეჭიდებული,
მღერის: „მეორედ დავიბადენით“...
შენს სიდიადეს რომ დაედაროს,
ცისქვეშ ნახულა მხარე რომელი?
შვილებს არგუნე, დედავ ნეტარო,
ზღვა სიხარული დაუშრობელი.
შენს დაძახილზე თუ არ ავენთო, —
გამრისხებია მიწა მშობელი,
შენი მზე არის უდასავლეთო
და გაზაფხული დაუჭკნობელი!..

არ დაკარგულან

საით წასულან შენი ვაჟები,
შენი გმირები ცეცხლის თვალება,
რომ იტაცებდათ გარიჟრაჟები
და ჭარიშხალში დროშის ტარება.
მათი გულები ტყვიით დახრული
ნუთუ წყვდიადის ქვეშ იფარება,
აღარ მოესწროთ გამოზაფხული,

პაშა გაბრიჩიძემ ძმა იპოვა!

ჩვენს მკითხველს ალბათ ახსოვს „სამშობლოს“ ერთერთ უკანასკნელ ნომერში (1970 წელი, № 4) გამოქვეყნებული წერილი „საყვარელო ძმაო“. პაშა გაბრიჩიძე ღია ბარათს უგზავნიდა სამამულო ომში დაკარგულ ძმას, რომელიც, მისი აზრით, ჩიკაგოში უნდა ყოფილიყო.

პაშასა და მისი დის — ცაგუნას ოჯახებში დღეს დიდი სიხარულია. მათ ძმა იპოვეს, ოცდაათი წლის წინათ დაკარგული ძმა! ამ დღეებში პაშამ ვალოდია გაბრიჩიძის ხელით დაწერილი ბარათი მიიღო ამერიკიდან, ვისკონსინის შტატიდან. თურმე, ოცი წელიწადია ვალოდია იქ ცხოვრობს, ჰყავს მეუღლე — გერმანელი ქალი, სამი შვილი, რომელთაგან უფროსს ნოდარი ჰქვია, ხოლო ერთერთ გოგონას ვალოდიას დედის სახელი — სონია.

არ შევუდგებით იმის მტკიცებას, რომ და-ძმა გაბრიჩიძეების სიხარულის მიზეზი მაინც და მაინც ჩვენი გაზეთი იყოს. შესაძლებელია, ვალოდიამ ბარათი მანამდე გამოგზავნა, სანამ ჩვენს გაზეთს წაიკითხავდა. ახლა ამას არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს. მთავარია, რომ მათ ერთმანეთი იპოვეს!

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია უკრთდება გაბრიჩიძეების სიხარულს და უსურვებს მათ მალე უშუალოდ ენახოთ ერთმანეთი.



სვეტიცხოველი — ქართული ხუროთმოძღვრების სიამაყე! XI საუკუნის ძეგლი.

ვალერიან გენგიურის ფოტო

ომამდე შეხვედრამდე...

როდესაც „სამშობლოს“ მკითხველებმა იციან, საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, ბრიტანეთის მოქალაქე ალექსანდრე ბესტაევიშვილი.

ბატონი ალექსანდრე ინგლისში გამგზავრების წინ კვლავ ეწვია „სამშობლოს“ რედაქციას და პასუხი გასცა ჩვენი კორესპონდენტის რამდენიმე შეკითხვას.

● ეს თქვენი მეოთხე სტუმრობა იყო საქართველოში. როგორია ახლანდელი შთაბეჭდილებები?

— გული მწყდება, ამჯერად ოჯახით ჩამოსვლა რომ ვერ შევძელი. ის, რაც ვნახე, მინდოდა ჩემს მეუღლე თორასა და შვილებს — მერის, გოგისა და ქრისტინესაც ენახათ. სამშობლოში სამ თვეს დავყავი და ეს უკვე სტუმრობა აღარ არის. ვიცხოვრე აქ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გაეცანი ახლობლებთან. ვიყავი ქუთაისსა და რუსთავში. დავთვალიერე კახეთი. დავდიოდი მუზეუმებსა და თეატრებში, კაფეებსა და რესტორნებში. გავიცანი ისეთი დიდებული ადამიანები, როგორიც არიან მხატვარი ლადო გუდიაშვილი, მწერალი ლევან გოთუა და სხვები.

● რას უსურვებდით ჩვენი გაზეთის მკითხველებს?

სიკეთეს, ბედნიერებას. გაზეთ „სამშობლოს“ საზღვარგარეთელ მკითხველებს კი კარგ ჯანმრთელობასთან ერთად, საქართველოში ხშირ სტუმრობას. ამით ისინი ბევრ სატკივარს მოირჩენენ.

● როდის აპირებთ კვლავ გვეწვიოთ?

— ვერ ვიტყვი, ძალიან მალე-მეთქი, ისე კი, გადავწყვიტე, შემდგომში საქართველოში ოჯახთან ერთად მანქანით ჩამოვიდე, რომ ჩემი სამშობლოს ყველა კუთხე-კუნჭულს ეწვიო.

● ბატონო ალექსანდრე, როგორც იტყვიან, სტუმარი ღვთისაა, მაგრამ ერთი თვის ნაცვლად საქართველოში სამ თვეს რომ დარჩით, ამას, ალბათ, ჰქონდა თქვენი მიზეზი?

რა თქმა უნდა—ქართველებისათვის ჩვეული სტუმართმოყვარეობა. უფრო კონკრეტულად კი აი რა მოხდა: თავდაპირველად მართლა ერთ თვეს უნდა დაერჩნილიყავი, მაგრამ დედა გამისხდა ავად, 15 დღეს მის სარეცელს არ მოვშორებივარ. გამოჯანმრთელდა და ახა, დარჩენილ ორ კვირაში რის ნახვას მოვასწრებდი. ვითხოვე ვიზის გაგრძელება და, როგორც ხედავთ, უკვე მესამე თვე იწურება, რაც თქვენთანა ვარ.

● ძალიან მიგეჩქარებათ ინგლისში?

— ძალიან. იქ ხომ მეუღლე და შვილები მელიან. თუმცა გულის ნაწილი აქაც მრჩება. გთხოვთ სწორად გამიგოთ და ნათქვამი სენტიმენტალობად არ ჩამომართვათ — 85 წლის დედისაგან ასე შორს წასვლა არც ისე ადვილია. ახლა ნათესავები, მეგობრები, საქართველო, რომლის ღვიძლ შვილად ყოველთვის ვთვლიდი თავს?

წასვლის წინ მინდა მადლობა გადაეუხადო უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებას, საქართველოს კულტურის სამინისტროს მუშაკებს, თქვენს რედაქციას ესოდენ დიდი ყურადღებისათვის. ფირფიტები, ნოტები, ეროვნული კოსტიუმები და საკრავები, რომლებიც აქედან მიმაქვს, დიდ დახმარებას გაუწევს ჩემს შვილს ასწავლოს ქართული და კავკასიური მუსიკა ლონდონის კულტურის ინსტიტუტში, სადაც იგი ახლახან მიიწვიეს. მადლობას მოვახსენებ მუსიკისმცოდნე პროფესორ ვაჟა გვახარიას, რომელმაც შემომთავაზა მიმოწერით კონსულტაცია გაუწიოს ჩემს ვაჟს, ბატონ ბუხარინ ჟღენტს და ქალბატონ ვთერ გუგუშვილს, რომლებთანაც რამდენიმე სასიამოვნო მოსაგონარი სალამო გავატარე.

● კეთილ მგზავრობას გისურვებთ, ბატონო ალექსანდრე.

გმადლობთ, მომავალ შეხვედრამდე, როცა ინგლისში ჩამობრალთ, მასპინძელი მე ვიქნები.

ნიუ-იორკიდან ...ჩხერში

● გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ“ ამას წინათ რუსულ ენაზე გამოუშვა სპორტული უურნალისტისა და მწერლის ალექსანდრე კიკნაძის წიგნი „სადღაც ჩემს ახლოს“. გთავაზობთ ნაწყვეტს ერთ-ერთი თავიდან, რომელშიც აღწერილია ტოლიდოში (ამერიკა) გამართული კლასიკური სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატის ერთი ეპიზოდი.

ტოლიდოში გამგზავრებამდე რამდენიმე ხნით ადრე ჩემი მშობლიური სოფლიდან — ჩხერიდან მოხუცმა და კეთილმა დეიდა ნინომ ამანათი გამომიგზავნა. მასში ჩურჩხელები იყო. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ დეიდა ნინოს ჩურჩხელები განსაკუთრებით კარგი ნახელავია. და აი ყოველი შემთხვევისათვის ერთი ჩურჩხელა თან წავიღე ამერიკაში. იგი გვიან გამახსენდა, მხოლოდ ბოლო დღეს, როცა უკანასკნელი ორთაბრძოლები უნდა გამართულიყო. ჩურჩხელა შევთავაზე ომარ ეგაძეს. მან ურ მადლობა მითხრა, შემდეგ კი ჩრ ელობიანი უარი. ომარს გაანგაბული ჰქონდა ყოველი გრამი. თავის წონას ისე მკაცრად ადევნებდა თვალს, როგორც ბალერინა.

— აი გუშინ ზედმეტი ნახევარი ჭიქა ლიმონათი დავლიე, მწვრთნელმა კი თქვა, ეგაძე ეგოისტია, გუნდს უნდა უღალატოსო.

ჩურჩხელა მივეცი როსტომ აბაშიძეს — ჩვენი ქვემძიმე წონის ფალავანს. მისთვის შეიძლება: იგი, მგონი თავის მეტოქეებზე უფრო გამხდარია. როსტომი მადიანად შეექცა ჩემს ნაბოძვარს და მალე ფიცარანგზე გავიდა.

ისინი ერთდროულად ორ ხალიჩაზე ჭიდაობდნენ, ომარ ეგაძე იაპონელ იტიგუტისთან, როსტომ აბაშიძე კი — ბულგარელ რადევთან. ორივეს ჰყოფნიდა ფრე. ეს შედეგი მათ ჩემპიონებად გახდიდა.

... შერკინების პირველი ნახევრის შემდეგ ეგაძისათვის შეიძლება გაბედულად გვეწოდებინა მსოფლიო ჩემპიონი. ამ წოდებამდე მას ჯერ მხოლოდ ხუთი წუთი რჩებოდა, შემდეგ სამი, შემდეგ ერთი. სწორედ ამ მომენტში გაისმა მწვრთნელის შეძახილი.

— ფრთხილად ომარ, ახლა იგი საშიშია.

ომარმა დამამშვიდებლად დაიქნია ხელი — აქაოდა, ყველაფერი რიგზეა, ნუ ღელავთო.

მაგრამ აი... შეხვედრის დამთავრებას ცხრამეტი წამიღა უკლდა, როცა თითქოსდა დუნე იაპონელი ერთბაშად აფეთქდა, რაღაც ხმამაღლა შეიყვირა, ორივე ხელი მოხვია გულდამშვიდებულ მეტოქეს და ბეჭებზე დასცა.

როსტომ აბაშიძე? იმ დღეს იგი მესამედ გამოდიოდა ხალიჩაზე. მანამდე დაამარცხა თურჩი გოლიათი ათლი, შემდეგ ორ წუთში ხალიჩაზე გააკრა რუმინელი მარტინესკუ. როსტომმა გვიჩვენა, თუ როგორ გონივრულად უნდა გაანაწილო შენი ძალღონე და მიიღო ოქროს მედალი, ეგაძისათვის კი ოქრო ვერცხლით შეიცვალა. ვერცხლი შეემატა მის მწვრთნელ ვასო ილურიძესაც: მოიჩვენა, რომ იმ დღეს იგი უფრო გაბალავადა. ისინი ვერა და ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ რა მოხდა. რატომ დამარცხდა ომარი და გაიმარჯვა აბაშიძემ. მე კი ვიცოდი, უბრალოდ როსტომმა სასწაულებრივი ჩურჩხელა იგემა.

ნიუ-იორკიდან მან ღია ბარათი გაუგზავნა დეიდა ნინოს და მასში ქართულად ჩაწერა: „დიდი მადლობა“.

ის იყო, კიდეც დამავიწყდა ღია ბარათის ამბავი, მაგრამ როცა ერთი წლის შემდეგ სოფელში ჩავედი, დავრწმუნდი, ამ ბარათის წყალობით არაჩვეულებრივად გაზრდილიყო დეიდა ნინოს პოპულარობა.

საქმე ის არის, რომ ჩხერში ყოველდღე როდი მოდის წერილი ნიუ-იორკიდან. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ყოველ წელიწადს, კიდევ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, აქ საერთოდ არასდროს არ მიუღიათ წერილი ამერიკიდან, მით უმეტეს მსოფლიო ჩემპიონისაგან. ამიტომ, როცა როსტომის ღია ბარათი ჩავიდა ჩხერში, ფოსტის უფროსმა პირადად წაუღო იგი დეიდა ნინოს. მან კი თქვა: რომ ეს ოდნავადაც არ აკვირვებს. მთელი მსოფლიო ერთხელ კიდევ ეარწმუნდა, თუ რა არის ჩვენებური ჩურჩხელაო.

სპორტი

დიდი ფეხბურთი გვეწვია

1970

აჯაფსული და დიდი ფეხბურთი საქართველოს ერთდროულად ეწვია. თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ტევა არ არის. გულშემატკივართა არმია მოუთმენლად ელის მოედანზე ფეხბურთელთა გამოჩენას. აი ისინიც, თბილისის „დინამო“ და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი — მოსკოვის „ტორპედო“.

სსრ კავშირის 1970 წლის პირველობა ფეხბურთში გახსნილად ცხადდება. კაპიტნები მეტრეველი და გერშკოვიჩი ალმის აღსამართავად მიემართებიან. მატჩი იწყება...

პირველი მახვილგონივრული კომბინაცია და თბილისელთა კაპიტნის უძლიერეს დარტყმას მეკარე ლაიზანი კუთხურზე იგერიებს. წუთი წუთს მისდევს, თბილისელთა იერიშები გრძელდება. მოსკოველებს, რომ იტყვიან, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს სლავა მეტრეველი, ლევან და გივი ნოდიები, სერგო კუტივაძე. მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე ხშირად იჭრებიან მურთაზ ხურცილავა და რეზო ძოძუაშვილი.

ტრიბუნები ოვაციებით ეგებებიან სეზონში პირველ გატანილ ბურთს, რომლის მახარობელი, 34-ე წუთზე, თბილისელთა ნახევარმცველი სერგო კუტივაძეა.

63-ე წუთზე ტრიბუნებს კვლავ სწყდება ტაში. ამჯერად ბურთის ავტორი გივი ნოდია გახლავთ. თამაშს საბოლოო წერტილი მეტრეველმა დაუსვა. 79-ე წუთზე მის მიერ გატანილი ბურთი მატჩის მშვენება იყო.

პირველი გამარჯვების შემდეგ თბილისელები კვლავ მოუთმენლად მოელოდნენ 21 მარტის მატჩს. ამჯერად ჩვენი მოწინააღმდეგე საბჭოთა კავშირის ბრავალგზის ჩემპიონი კიევის „დინამო“ იყო. მატჩისადმი ინტერესს ისიც ზრდიდა, რომ გულშემატკივრებს საშუალება ეძლეოდათ მინდორზე ერთდროულად ენახათ სსრ კავშირის ნაკრების 10 წევრი — რუდაკოვი, მუნტიანი, პუზაჩი, ხერებრიანკოვი, ბიშოვეცი (კიევის „დინამო“), ძოძუაშვილი, ხურცილავა, ასათიანი და გივი ნოდია (თბილისის „დინამო“).

როგორც წინა თამაშზე, ინიციატივას თავიდანვე მასპინძლები დაეუფლნენ. და აი უკვე მე-9 წუთზე ანგარიში 2:0 იყო თბილისელთა სასარგებლოდ. ასეთ დასაწყისს კიეველები კი არა, თბილისელთა უველაზე თავგამოდებული ჰომაგნიც არ მოელოდნენ. ჯერ იყო და, მესამე წუთზე კუტივაძემ 30 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით აიღო რუდაკოვის კარი, ხოლო ექვსი წუთის შემდეგ გივი ნოდიამ დაგვირგვინა მეგობრების მიერ წამოწყებული კომბინაცია.

თამაშის მეორე ნახევარი კიეველთა უპირატესობით წარიმართა. ბიშოვეცმა ერთ-ერთი შეტევის დროს კარგად გამოიყენა მცველთა შეცდომა და ერთი ბურთის გაქვითვა შეძლო. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა თბილისის „დინამომ“.


კარგი თამაშით გაგვახარა თბილისელთა ვეტერანმა მეტრეველმა. აშკარაა, იგი კვლავ დაიმკვიდრებს თავის ადგილს სსრ კავშირის ნაკრებში.

ჭუთაისის „ტორპედომაც“ ამ ხნის მანძილზე ორი მატჩი გამართა. პირველი შეხვედრა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან — მოსკოვის „სპარტაკთან“ ფრედ (1:1) დაამთავრა, მეორე შეხვედრაში როსტოვის არმიელებთან დამარცხდა (0:1).

მომავალ სამ თამაშს თბილისელები მოსკოვის „სპარტაკთან“, მინსკისა და მოსკოვის დინამოელებთან გამართავენ.

იმედიანია თბილისელთა სტარტი, იმედიანია მექსიკაში მიმავალ საბჭოთა ფეხბურთელების გზის ის მონაკვეთი, რომელიც საქართველოზე გადის.







ამ სურათებზე თბილისის „დინამოს“ სამი ფეხბურთელია აღბეჭდილი. სლავა მეტრეველი, გივი ნოდია და მურთაზ ხურცილავა. სამივემ თავი გამოიჩინა როგორც მოსკოვის „ტორპედოს“, ისე კიევის „დინამოსთან“ გამართულ მატჩებში. აი როგორ შეაფასა მათი თამაში გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“:

„სლავა მეტრეველი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იყო, ტორპედოელთა მცველი კრასნოვი უძლური აღმოჩნდა თბილისელთა კაპიტნის წინაშე. ხუთიანი, რომელიც მწვრთნელებმა სლავა მეტრეველს დაუწერეს, მისი თამაშის ზუსტი შეფასებაა“.

„დიდი ხანია „ტორპედოს“ დაცვას ასეთი გაჭირვება არ დასდგომია, როგორც თბილისელთა წინააღმდეგ კვირას გამართულ მატჩში.

განსაკუთრებულ ქებას იმსახურებს გივი ნოდია, რომლის გარღვევები ყოველთვის სახიფათო იყო.

კარებთან ზურგით მდგომმა გივი ნოდიამ, გადაცემა რომ მიიღო, არ მისცა ბურთს მიწაზე დაშვების საშუალება და ძლიერი დარტყმით მოწინააღმდეგის ბადეში გაახვია“.

„ნოდიამ როგორც მოსკოვის „ტორპედოსთან“, ჰაერშივე შეძლო ბურთის „დაჭერა“ და კარისაგან ზურგით მდგომმა კიეველთა ბადეში მეორე ბურთი გაახვია. ყოველივე ეს სლავა მეტრეველის წყალობით მოხდა. მან ამ მომენტში შესანიშნავად ითამაშა უბურთოდ. ცენტრში გაჭრილმა რამდენიმე მცველი გაიყოლა და მეგობრებს თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცა“.

ის, რომ თბილისის „დინამომ“ ორ თამაშში მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვა, რა თქმა უნდა, დაცვის დამსახურებაა. როგორც ყოველთვის, თავგამოდებით იბრძოდა მურთაზ ხურცილავა.

სურათებზე (ზევიდან): სლავა მეტრეველი, გივი ნოდია და მურთაზ ხურცილავა ახალი სეზონის პირველ მატჩებში.

ვალერიან გენგიურის, მალხაზ დათიკაშვილისა და გივი კიკვაძის ფოტო.

იხარეთ ბერიკაცებო!

გარეთ ზამთარი ბუზღუნებს,
სახლში გიზგიზებს ბუხარი,
ღამის სიჩუმეს მოარღვევს
მდინარე, სწრაფი, მქუხარი...
შემოკრებილხართ სუფრასთან,
ბერიკაცებო, ამაყად,
სიმღერას ბოლო არ უჩანს,
გიგა პაპაა თამადად!
ერთმანეთს ლოცავთ და თანაც
ისმის სიმღერა ჩამტკბარი;
აი ასწია გიორგიმ —
„ზამთარია და ზამთარი".
და თითქოს, ქართულ ოდაში,
აენთო ზამთრის სურათი:
კავკასიონი — თმათეთრა,
ერი — გულადი, პურადი...
მღერიან ბერიკაცები
ბულბულებიან ყელებით,
ჭიქას ჭიქაზე ურტყამენ
დაკოჟრებული ხელებით.

ხან სადღეგრძელოს იტყვიან,
ხანაც სიმღერა გაისმის;
აი წამოდგა ბაკური
და წამოიწყო ხალისით:
„ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ,
ყველა დაგიწყებს გმობასა,
სადაც რომ შემოგეყრები,
გეტყვი შვილსა და ძმობასა".
მღერიან ტკბილად. ჩემს
თვალწინ
გაცოცხლდა ქართლის ვარამი:
ხმალშემართული ურჯულო —
მოსული სახლის კარამდი.
ბორბალოს მთასთან — ქისტები,
ჭარ-ბელაქანში — თათარი,
ქიზიყში, სპარსის მარჯვენით,
ვაზი, ხმლით გადანათალი...
ბარში — თოფების ქუხილით
ცადავარდნილი ღრუბელი,
ლეკების თარეშისაგან

სისხლით დამდგარი გუბენი.
ალაზნის ველზე — მტრის ჯარით
ჩამოწოლილი სუდარა,
არხილოს — ბავშვის ტირილი,
სიღნაღში — დედის მუდარა.
ყველანი გვემტერებოდნენ,
არვინ გვაცლიდა სიბერეს
და, ალბათ, ბერიკაცებმა
მაშინ იმიტომ იმღერეს,
რომ მოსულიყო ჩვენამდე
ქართველურ მოდგმის ფესვები —
მტერთან ამაყად მებრძოლი,
არასდროს დანაკვნესები.
და ახლა, როცა გიყურებთ
თმადათოვლილებს ჭაღარით,
გულში სიამე მიბრწყინავს,
უბერებლობა დამხარის...
იხარეთ, ბერიკაცებო,
თქვენი ცოლ-შვილის ლხენასა,
მარტო სიმღერა ატკბობდეს

მაგ შაქარივით ენასა!
ღმერთმა გიკურთხოთ გულუხვი
ქართული მიწის ბარაქა,
იმხიარულოს მარადჟამს
ჩვენმა სოფელმა, ქალაქმა!..
დაბერდით, ტკბილად დაბერდით,
ქვითკირს ამაგრებს სიბერე,
ჯერ სიკვდილს თქვენთან რა
უნდა,
იმღერეთ, ტკბილად იმღერეთ!
იმღერეთ ომახიანად,
მუმლი მუხას ვით ეხვია...
მტრებისთვის თქვენი სიმღერა
თავსდატეხილი მეხია!
იდიდოს ჩვენმა სამშობლომ,
თქვენი ჭაღარის ნათელმა,
იმრავლოს, იმარადისოს
საქართველოში ქართველმა!

ვალერიან მამუკელაშვილი

ქართული სამზარეულო

ბასტურმა

ძროხის ან ღორის სუკს მოაჭერით ზედმეტი სიმსუქნე, გარეცხეთ, დაჭერით თანაბარი სიდიდის საულუფე ნაჭრებად და მოათავსეთ შესაფერ ჭურჭელში. გემოვნებით დააყარეთ მარილი, დანაყილი პილპილი, წვრილად დაჭრილი ხახვი, თუ გსურთ, წვრილად დაჭრილი მწვანილი და დაფნის ფოთოლიც. აურიეთ, ხუფი დაახურეთ და გააჩერეთ გრილ ადგილას რამდენსამე საათს. ხორცი ასე შეიძლება 2-3 დღეს შეინახოთ. შეიძლება ამ მასალას დაემატოს ღვინის ძმარიც. ძმარს თუ ავადუღებთ, შევაგრილებთ და ისე დავუმატებთ. მაშინ ხორცი გრილ ადგილას 10 დღეს შეინახება. ასეთი წესით დამზადებული სუკი სათითაოდ ააგეთ შამფურის მთელ სიგრძეზე და შეწვით ნაკვერჩხალზე.

აღნიშნული წესით ბასტურმა შეიძლება მომზადდეს აგრეთვე ცხვრის, ძროხის ან ღორის რბილი ხორცის ნაწილისაგან.

იუმორი

კაპიანი ჯოხის მოსატანად წავიდა

ერთ ქალიშვილს არავინ მოსწონდა, ყველას რაღაც წუნს უპოვიდა ხოლმე; ერთხელ ერთმა ვაჟმა კოხტად ჩაიცვა, ცხენზე შეჯდა და ამ ქალიშვილთან მივიდა. ცხენი გააჩერა, ფეხი ფეხზე გადადო, ნიკაპით ხელებს დაეყრდნო და ქალს ჰკითხა:

— მამათქვენი შინ ბრძანდება?

— არა, დღეს ტყეში წავიდა, კაპიანი ჯოხი უნდა მოიტანოს თქვენთვის, რომ ხელი არ დაგეღალოთ, — უთხრა ქალმა. ვაჟმა თავი გაიქნია, შემოკრა ცხენს მათრახი და გაბრუნდა.

ხალხური

პირველი სიყვარული

— გოგონა, გჯერათ ერთი შეხედვით სიყვარულისა?

— არა.

— მაშ ხვალ გამოგივლით, მეორედ.

ექიმთან

— ექიმო, რა არის სკლეროზი?

— შვილი გყავთ?

— კი, იამზე.

— ჰოდა, როცა შალიკოს დაუძახებ, ის იქნება სკლეროზი.

ქართლოს კასრაძე

აპრილი

ქართული კალენდარი

„გულს ჩაიხერგე ეს სიტყვა,
შვილო, გაზრდილო დედისა,
უკვდავი ლენინი არის
გამხსნელი ხალხის ბედისა".

ხალხური

ასე უმღერის ქართველი კაცი დიდ ლენინს, ასე უმღერის დღეს ამ ბრძენკაცს მთელი მსოფლიო, რომლის დაბადების 100 წლისთავს კაცობრიობა უდიდესი ზეიმით გადაიხდის 22 აპრილს.

2 აპრილს დაბადების 75 წლისთავი უსრულდება ცნობილ ქართველ პოეტს ტიციან ტაბიძეს, რომლის შემოქმედებაშიც ღირსეული ადგილი დაიჭირა უკვდავი ლენინის სახემ.

7 აპრილს, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც აღინიშნება „ჯანმრთელობის მსოფლიო დღე". ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ჩვენი რესპუბლიკა ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა.

დაბადების 80 წელი უსრულდება 9 აპრილს ცნობილ ქართველ მსახიობ ქალს ელენე დონაურს, რომელიც 1955 წელს გარდაიცვალა.

12 აპრილს კიდევ ერთი დიდი ზეიმის მონაწილენი ვიქნებით. ეს დღე კოსმონავტიკის საერთაშორისო დღე გახლავთ.

14 აპრილს დაბადების 60 წელი უსრულდება მწერალსა და დრამატურგს გიორგი შატბერაშვილს, რომელიც, სამწუხაროდ, უდროოდ, 55 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან.

24 აპრილი ქართულ კალენდარზე ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღედ არის აღნიშნული, ხოლო 26 აპრილი — ძმადნაფიც ქალაქთა მსოფლიო დღედ.

გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია თეატრალური ხელოვნების ათასობით მოყვარულთან ერთად, დაბადების დღესულოცავს დიდ ქართველ მსახიობს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს აკაკი ხორავას, რომელსაც 29 აპრილს 75 წელი უსრულდება.

ასეთია ქართული კალენდრის იმ თვის მიმოხილვა, რომელიც ისტორიაში უპირველესად დიდი ლენინის ხსოვნის თვედ შევა.

სან-ფრანცისკო

ალექსანდრე მიქელაძეს

საყვარელო ბიძავ! გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და კიდევ ერთს — აგისრულდეს ყველაზე დიდი ოცნება — გენახოს 60 წლის წინათ დატოვებული სამშობლო.

შენი ძმისწული **მანანა მიქელაძე**

თბილისი, ვარკეთილის მასივი, X კვარტალი, V კორპუსი, № 30 ბინა.

რედაქციისაგან

როგორც საზღვარგარეთელ, ისე ადგილობრივ მკითხველებს შეუძლიათ ჩვენი გაზეთის საშუალებით მიულოცონ ერთმანეთს დაბადების დღე, საოჯახო ზეიმები, საერთაშორისო დღესასწაულები და სხვა.

ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მომსახურებით!

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმი და გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ოთარ გიგინეიშვილს დედის

მარიამ კორფილეს ასულ ლოლაძის

გარდაცვალების გამო.

დაბეძებენ, მოგელიან

კონსტანტინე (კოწია) ირაკლის ძე ვაჭარაძეს,

დაბადებულს 1919 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითში, ეძებენ დები — **ნინა, სონია, თალიკო ვაჭარაძეები,** დისწული — **კონსტანტინე ზაქარიას ძე მაჩიტაძე,** მცხოვრებნი ზესტაფონში, მოსკოვის ქუჩა № 37.

კონსტანტინე (პაპი) გიორგის ძე ლექვინაძეს,

დაბადებულს 1911 წელს ქუთაისში, ეძებს ძმა — **ალექსანდრე (ქუკური) ლექვინაძე,** მცხოვრები თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, IV კვარტალი, 31 კორპუსი, ბინა № 24.

გიორგი მიხეილის ძე შოშიაშვილს,

დაბადებულს 1919 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში, ეძებენ დედა — **მარიამი,** მამა — **მიხეილ შოშიაშვილები,** მცხოვრებნი თბილისში, ლენინის ქუჩა № 85, I კორპუსი, II სადარბაზო, ბინა № 30.

ალექსანდრე (ალიოშა) ვლადიმერის ძე ნებიერიძეს,

დაბადებულს 1907 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საქარაში, ეძებენ დედა — **მატრონე,** მეუღლე — **თამარი,** შვილები — **მირიან და გიორგი ნებიერიძეები,** მცხოვრებნი ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საქარაში.

რედაქტორი

ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.